„დამტკიცებულია“
სსიპ საქ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სახოგადოებრივი კოლეჯის
სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 14 დეკემბრის
№ 5 ოქმით

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი

პროგრამა

მასაჟისტი

(III საფეხური)

თბილისი 2018

პროგრამის სახელწოდება	მასაჟისტი
პროგრამის ხელმძღვანელი	იზა რევია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მასაჟისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
პროგრამის სტრუქტურა	60 კრედიტი (1500 საათი), აქედან - 32 კრედიტი (800 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო - 28 კრედიტი (700 საათი) - პრაქტიკულ კომპონენტს. კრედიტი გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას). ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.
პროგრამის ხანგრძლივობა:	46 კვირა.
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების შესაძლებლობა	2014 წლის 30 მაისი. განახლებადია ყოველწლიურად
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	მასაჟისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და მასაჟისტის (090651) პროფესიული სტანდარტის შესაბამისად. სტუდენტს მისცეს მასაჟისტისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, კერძოდ, შეისწავლოს: ზოგადი მასაჟი, ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია, თერაპიის საფუძვლები, გადაუდებელი პირველადი დახმარება, ლათინური ენა, კინეზიოთერაპია, მანუალური თერაპია და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის მკურნალობა, სპორტული და სამკურნალო მასაჟი, ბავშვთა მასაჟის ტექნიკური ურთიერთობის ფსიქოლოგია; • მოამზადოს პრაქტიკოს-სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ცოდნაზე დაფუძნებული თანამედროვე შრომის ბაზრის, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, პროფესიული განათლების სფეროში დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში; • მისცეს შესაბამისი კურსის ცოდნა და უნარები;

	• ჩამოუყალიბოს სტუდენტებს ზოგადსაბაზისო კომპეტენციების სისტემა შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე გასაგრძელებლად.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, მინიმალური ასაკი 18 წელი.
სწავლის შედეგი	**1. ცოდნა და გაცნობიერება** მასაჟისტის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელმა იცის: • ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგიის საფუძვლები; • ურთიერთობის ფსიქოლოგია; • დაავადებების ეთიოლოგია და პათოგენეზი; • პაციენტის ჩართვა სამედიცინო ღონისძიებებში, რომელიც მიმართული იქნება პათოლოგიური პროცესების განვითარების პრევენციისთვის, რაც უზრუნველყოფს დროებით და მყარ შრომისუნარიანობას, ეფექტურ და დროულ დაბრუნებას საზოგადოებაში; • სამედიცინო მასაჟის ამოცანები და მეთოდები ორგანო-სისტემებზე ზემოქმედებისათვის (სისხლის მიმოქცევისა და ლიმფურ სისტემაზე, კანზე, კუნთოვან სისტემაზე, შემაერთებელ ქსოვილზე, ნერვულ სისტემაზე, შინაგან ორგანოებზე და მთლიანად მთელ ორგანიზმზე ზემოქმედებას); • სამედიცინო მასაჟის საშუალებებს: ხელსმა, სრესა, თელვა, დარტყმითი ილეთები, რხევები (ბერტყვა, შერხევა, ვიბრაცია), პასიური მოძრაობები; • კინეზიოთერაპიის ძირითადი საშუალებები - საერთოგანმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშები (იდიომოტორული, იზომეტრული, მაკორეგირებელი, სუნთქვითი, რელაქსაციური და სხვ.); • კინეზიოთერაპიის ფორმები: პროცედურა - ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობა; მექანოთერაპია, შრომითი თერაპია, კინეზიო-ბალნეოთერაპია, ტერენკური რაითერაპია, დამოუკიდებელი ვარჯიში; ასევე- მოძრაობის რეჟიმები; სტაციონარი, დაზოგვითი-წვრთნის და საწვრთნელი; • სამედიცინო მასაჟის კაბინეტის მოწყობა: სამასაჟო ოთახის ფართობი, გარემო, სან-ჰიგიენური წესების დაცვით: სამასაჟო ტახტების ფორმა (ზომა, სიმაღლე), სამასაჟო ზეთები, საცხები და მალამოები; სპეციფიკური აპარატურა (ვიბრომასაჟორები, ვაკუმმასაჟორები და სხვა); • სპორტული, ანტიცელულიტური, თაფლით და სხვა ეგზოტიკური მასაჟის სახეების ჩატარება; • პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანის ჰიგიენური მასაჟის მეთოდები გაცნობიერებული აქვს სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნები და ამოცანები. **2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

	• წაიკითხონ დიაგნოზი ლათინურ ენაზე და გაეცნოს პაციენტის კლინიკურ მდგომარეობას; • არტერიული წნევის გაზომვა, პულსის და სუნთქვის დათვლა, პერკუსია და პალპაცია; • ტალახის, პარაფინის აპლიკაციის დადება; • მასაჟისადმი ტოლერანტობის ნიშნების გამოკვლევა; • პირველადი დახმარების აღმოჩენა; • სამკურნალო მასაჟის მეთოდიკების გამოყენება სხვადასხვა პროფილის დაავადებით პაციენტთა რეაბილიტაციაში (ექიმის მიერ დასახული ამოცანების შესრულების შესაბამისად); • კინეზოთერაპიისა და მანუალური თერაპიის ილეთების გამოყენება სქოლიოზისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სხვა დეფორმაციისა და დაზიანების მქონე პაციენტების მკურნალობა - რეაბილიტაციაში; • ზოგიერთი ტრადიციული მასაჟის პროცედურების ჩატარება სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მეთოდიკების გამოყენება. **3. დასკვნის უნარი** • დროულად ამოიცნოს პაციენტის მოვლის/მართვის გეგმების ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი; • ამოიცნოს დაავადების რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები; გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად მეორადი პროფილაქტიკის ღონისძიების ჩატარებაში. **4. კომუნიკაციის უნარი** შეუძლია: • ლათინურ ენაზე აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება; • კომუნიკაცია პაციენტთან, მის ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან; • სხვისი საუბრის მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებისას დაზუსტება; • შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში. **5. სწავლის უნარი** ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია: • ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი ცოდნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე; • მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

	6. ღირებულებები • იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს; • იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს; • პაციენტისა და კოლეგების მიმართ არის კეთილგანწყობილი
სწავლების ფორმატი	• ლექცია • პრაქტიკული მეცადინეობა. • სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა; • პრაქტიკა
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები	სწავლების მეთოდები ირჩევა კურსის განმახორციელებლის მიერ, რომელიც მიმართულია სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისათვის . აღნიშნული მეთოდების გამოყენებით ხდება სწავლების აქტივიზაცია, რაც სტუდენტში ახდენს შემეცნებითი საქმიანობის განვითარებასა და სტიმულირებას. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ასევე მიზნად ისახავს დაინტერესოს სტუდენტი შემოქმედებითად, აქტიური გახადოს იგი ცოდნის მარაგის დაგროვების პროცესში. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი მეთოდები: *<u>სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა</u>* წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს სასწავლო გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამივე დაინტერესებული მხარისათვის სტუდენტის, საგანმანათლებლო დაწესებულების და დამსაქმებლისთვის. საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება დაწესებულების ფარგლებს გარეთ, ხოლო სასწავლო პრაქტიკა დაწესებულების ბაზაზე. *<u>სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა</u>* არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ, პრაქტიკის ადგილის გაცნობა მის მიერ, სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური დაკვირვება, სტუდენტის ზედამხედველობა, სტუდენტის კონსულტირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ, პრაქტიკის საბოლოო შეფასება. გამოყენებულია სწავლა/ სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, პირველ რიგში ეს არის: *<u>სამუშაო ჯგუფში</u>* პრაქტიკული მეცადინეობა - პრაქტიკული მეთოდები, რომელიც აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს უყალიბებს პრაქტიკულ უნარჩვევებს. შეძენილი ცოდნის საფუძველზე

	სტუდენტი ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა არანაკლებ ეფექტური მეთოდები. *ჯგუფური (collaborative) მუშაობა* - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სწავლების პროცესში. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეცადინეობები: *როლური და სიტუაციური თამაშები* - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში, ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებულებას, გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს. *დემონსტრირების მეთოდი* - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/ პრობლემის არსს. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მოითხოვს კურსის განმახორციელებლისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია. ლექციაზე ხდება თეორიული მასალის გადაცემა. ლექცია შეიძლება ჩატარდეს განსხვავებული მეთოდებით, როგორიცაა: ინტერაქტიული ლექცია, ლექცია პრესკონფერენცია, მოწვეული სტუმარი, ინფორმაციული ლექცია და ა.შ. პრეზენტაციის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ჯგუფური ასევე ინდივიდუალური. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები დეტალურად გაწერილია სილაბუსებში.
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. შეფასების სისტემა უშვებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას; ➢ (**A**) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ➢ (**B**) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; ➢ (**C**) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; ➢ (**D**) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

	➢ (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; ორი სახის უარყოფით შეფასებას: ➢ (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ➢ (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს: ა) შუალედურ შეფასებას; ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას. პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს შუალედურ გამოცდას, პრეზენტაციას, აქტივობას, საშინაო დავალებას და სხვ. პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას, პრაქტიკის ანგარიშის დაცვას ან პრეზენტაციის (ჯგუფური და ინდივიდუალური) წარმოდგენას (პრაქტიკის შემთხვევაში). პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭება თუ განსაზღვრული შეფასების კომპონენტების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.) დაჯამებით უტოლდება მინიმუმ 51 ქულას. შეფასების სისტემის კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი გადალახავს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%) მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში. პრაქტიკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. პრაქტიკა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს განიმტკიცოს თეორიული კომპონენტით შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი პროფესიული სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პრაქტიკის ფარგლებში, ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია. პროგრამის ცალკეულ კომპონენტებში გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსში.

№	სასწავლო კურსები/მოდულები/კურსები	სწავლის შედეგები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ადამიანის ანატომიის საფუძვლები	x	x	x	X	x	
2	კლასიკური მასაჟი	x	X	x	X	x	
3	ლათინური ენა (სამედიცინო ტერმინოლოგია)	X	X		x	X	
4	უცხო ენა (ინგლისური ენა)	X	x		x	x	
5	ინფორმაციული ტეხნოლოგიები	X	X			X	x
6	ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია	X	x		x	X	x

7	პირველადი გადაუდებელი სამედეცინო დახმარება	X	X		X	x	X
8	ფიზიოთერაპია	X	X	X	x	x	X
9	სამედეცინო რეაბილიტაცია	X	x	x	x	X	X
10	სამკურნალო მასაჟი	X	X	x	x	x	
11	კინეზიოთერაპია (სამკურნალო ფიზიკური კულტურა)	X	X	x	x		X
12	სპორტული მასაჟი	X	X	X	x	x	
13	მანუალური თერაპია, აკუპუნკტურა	X	X	x	x	X	
14	ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები (ზოგადი, სპორტული)	X	X	X	X	X	
15	სასწავლო პრაქტიკა	X	X	X		X	X

სასწავლო გეგმა

I სემესტრი

№	საგნების დასახელება	კრედიტი	საათების რაოდენობა					სულ
			ლექცია	პრაქტიკული მეცადინეობა	შუალედური შეფასება	დასკვნითი გამოცდა	დამოუკე. საათები	
1	ადამიანის ანატომიის საფუძვლები	**2**	5	23	2	2	18	**50**
2	კლასიკური მასაჟი	**3**	8	35	2	2	28	**75**
3	ლათინური ენა (სამედიცინო ტერმინოლოგია)	**3**	5	38	2	2	28	**75**
4	უცხო ენა (ინგლისური ენა)	**3**	5	23	2	2	43	**75**
5	ინფორმაციული ტეხნოლოგიები	**3**	-	29	1	2	43	**75**
6	ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია	**2**	5	23	2	2	18	**50**
7	პირველადი გადაუდებელი სამედეცინო დახმარება	**2**	5	23	2	2	18	**50**
8	ფიზიოთერაპია	**3**	9	34	2	2	28	**75**
9	სამედეცინო რეაბილიტაცია	**3**	7	36	2	2	28	**75**
10	სამკურნალო მასაჟი	**3**	7	36	2	2	28	**75**
11	კინეზიოთერაპია (სამკურნალო ფიზიკური კულტურა)	**3**	9	34	2	2	28	**75**
	სულ	**30**	*65*	*334*	*21*	*22*	*308*	**750**

II სემესტრი

№	საგნების დასახელება	კრედიტი	საათების რაოდენობა					სულ
			ლექცია	პრაქტიკული მეცადინეობა	შუალედური შეფასება	დასკვნითი გამოცდა	დამოუკე. საათები	
1	სპორტული მასაჟი	**2**	5	23	2	2	18	**50**
2	მანუალური თერაპია, აკუპუნკტურა	**2**	5	23	2	2	18	**50**
3	ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები (ზოგადი, სპორტული)	**2**	5	23	2	2	18	**50**
4	შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა	**3**	8	50	2	2	13	**75**
5	ადაპტიური ფიზიკური აღზრდა და სპორტი	**3**	8	35	2	2	28	**75**
6	კორექციული ტანვარჯიში	**3**	-	43	2	2	28	**75**
7	სამკურნალო მასაჟი	**2**	-	28	2	2	18	**50**
8	სამედეცინო რეაბილიტაცია	**2**	-	28	2	2	18	**50**
9	ადამიანის ანატომიის საფუძვლები	**3**	5	38	2	2	28	**75**
10	სასწავლო პრაქტიკა	**8**	-	75	-	2	123	**200**
	სულ	**30**	*36*	*366*	*18*	*20*	*310*	**750**

დასაქმების სფერო	მასაჟისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სახის ავადმყოფობის მქონე პაციენტთა სამედიცინო რეაბილიტაციის ყველა: ჰოსპიტალურ, კონვალესცენტურ და პოსტკონვალესცენტურ ფაზაში. მასაჟისტი შეიძლება დასაქმდეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში: საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, დისპანსერებში, სანატორიუმებში, ჰიგიენური პროფილის სალონებში, სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, ბავშვთა და ინვალიდთა სახლებში, პანსიონებში, მასაჟისტს შეუძლია ექიმი-რეაბილიტოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ ბინაზე მომსახურება.
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები	პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია პროგრამის კატალოგი, რომელიც მოცემულია დაწესებულების ვებგვერდზე. ამავე მიზნით სტუდენტებს სწავლის დაწყებისთანავე ეძლევათ პროგრამის კატალოგი, სილაბუსები, მეცადინეობის ცხრილები, სადაც მოცემულია მათთვის აუცილებელი ინფორმაცია. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი საინფორმაციო - ტექნოლოგიური და საბიბლიოთეკო რესურსით. პროგრამის შესაბამისდად არსებობს სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები სხვა ტექნიკური ბაზა, რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგების მიღწევისათვის. საწარმოო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება: 1. შპს „რეა“ - სამკურნალო რეაბილიტაციის ცენტრი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

კურსის დასახელება	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ადამიანის ანატომიის საფუძვლები	მარიამ ბალაშვილი	ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
კლასიკური მასაჟი	იზა რევია	მასწავლებელი
ლათინური ენა (სამედიცინო ტერმინოლოგია)	მაია კერკენჯია	მასწავლებელი
უცხო ენა (ინგლისური ენა)	ეკატერინე ზუხბაია	ინგლისური ენის სპეციალისტი
ინფორმაციული ტეხნოლოგიები	ვლადიმერ ჯიოევი	საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი
ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია	მარიამ პაპიაშვილი	ფსიქოლოგი
პირველადი გადაუდებელი სამედეცინო დახმარება	ნანა მალანია	ექიმი
ფიზიოთერაპია	ლელა გრიგოლია	ექიმი
სამედეცინო რეაბილიტაცია	მერი პატარაია	ზოგადი პროფილის ექიმი
სამკურნალო მასაჟი	იზა რევია	მასწავლებელი
კინეზიოთერაპია (სამკურნალო ფიზიკური კულტურა)	მერი პატარაია	ზოგადი პროფილის ექიმი
სპორტული მასაჟი	ედუარდ ფეროიანი	ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
მანუალური თერაპია, აკუპუნკტურა	ედუარდ ფეროიანი	ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები (ზოგადი,	სოფიო ცაციაშვილი	ექიმი

სპორტული)		
სასწავლო პრაქტიკა	იზა რევია მერი პატარაია	მასწავლებელი ზოგადი პროფილის ექიმი
შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა	ნანა მალანია	ექიმი
ადაპტიური ფიზიკური აღზრდა და სპორტი	ნონა ოქონაშვილი	მასწავლებელი
კორექციული ტანვარჯიში	ნიკო ლეშკაშელი	მასწავლებელი

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის დამთავრების შემდეგ მასაჟისტის კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მეოთხე საფეხურის შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.